

**სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის წესი (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა სკოლა)**

დოქტორანტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს (სკოლის პროფესორის/ასოცირებული პროფესორის მიერ სკოლის საბჭოს წინაშე დოქტორანტურის საკვლევი თემატიკის წარდგენისა და დამტკიცების საფუძველზე) ქმნის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა სამი წევრის შემადგენლობით: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და შესაბამისი ან მომიჯნავე (სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით) მიმართულების ორი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. სკოლის საბჭოს წარდგინებით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო:

- განიხილავს და ამტკიცებს დოქტორანტის კვლევის კონცეფციას და საკვალიფიკაციო ნაშრომის სახელწოდებას;
- განსაზღვრავს (დოქტორანტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) დოქტორანტის მუშაობის თანმიმდევრობას და გრაფიკს;
- კონსულტირებას უწევს დოქტორანტს სასწავლო მოდულით გათვალისწინებულ მოდულებთან დაკავშირებით (სასწავლო მოდულით გათვალისწინებული ძირითადი კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და არჩევით კომპონენტებთან მიმართებით რჩევა) და ისმენს და აფასებს სადოქტორო სემინარებს სპეციალობის მოდულში.
- ახორციელებს სადოქტორო პროგრამით გაწერილი კვლევითი კომპონენტის (სადოქტორო ნაშრომი) მომზადებისა და წარდგენის ეტაპების მონიტორინგს(თითოეული ამ კომპონენტის წარდგენა ხდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე), რითაც უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას ეფექტურად და შედეგიანად;
- ქმნის შესაძლებლობას დროულად დაკორექტირდეს/ აღმოიფხვრას შესაძლო გადაცდომები ან უზუსტობები კვლევის პროცესში, უზრუნველყოფილი იქნას დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობის სწორი ორიენტირება (წარმოდგენილი

დოქტორანტურის დებულების დანართი N 6
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N 64/19 ოქმით

ჰიპოთეზის დასამტკიცებლად/უარსაყოფად, მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით, კვლევის შერჩეული მეთოდების რელევანტურობისა და შედეგიანობის თვალსაზრისით და სხვა);

- სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო აფასებს წარმოდგენილ კვლევით კომპონენტებს (კრედიტების მინიჭების გარეშე) და სავალდებულო მინიმალური ბარიერის (51% პირობითი 100%-დან) გადალახვის შემთხვევაში უფლებას აძლევს დოქტორანტს გადავიდეს კვლევის შემდეგ ეტაპზე;
- ეხმარება (კონსულტირების ფორმატში) დოქტორანტს კვლევის სფეროსთვის რელევანტური და მეცნიერულად ღირებული სამეცნიერო ჟურნალის/ჟურნალების შერჩევაში კვლევის შედეგების პუბლიკაციის მიზნით;
- განიხილავს დოქტორანტის მიერ საერთაშორისო პუბლიკაციისთვის მომზადებულ სტატიას/სტატიებს (აფასებს “შესაძლებლისა“ და „დასაშვების“ მარკერთა გათვალისწინებით - ერთი მხრივ, სტატიის ფორმისა და შინაარსის გამართლებულობის, მეორე მხრივ კი, იმ ფორმალურ საზღვრებთან თავსებადობის განსაზღვრა, რომელშიც ადრესანტს შეუძლია საკუთარი შეტყობინების აგება და სტატიის გადაცემა პუბლიკაციისთვის) და აძლევს დოქტორანტს რეკომენდაციას პუბლიკაციისთვის;
- განიხილავს დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელთან ერთად მომზადებულ წინადადებას/პროექტს კვლევითი ან სხვა სახის სამეცნიერო აქტივობის (კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინება და სხვა) დაფინანსებასთან დაკავშირებით და შუამდგომლობით მიმართავს სკოლის საბჭოს.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო იკრიბება სულ ცოტა სემესტრში ერთხელ, მოწვევის გრაფიკი დამოკიდებულია დოქტორანტის განაცხადზე სპეციალობის მოდულით გათვალისწინებული სადოქტორო სემინარის ან კვლევითი კომპონენტის წარსადგენად მზაობის შესახებ, რომელსაც იგი უგზავნის საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს.

კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება შემდეგი აუცილებელი ეტაპების დაცვით:

- წინასწარი განაცხადის (მოიცავს კვლევის ჰიპოთეზას, საკვლევი საკითხის აქტუალობის, განსახორციელებელი კვლევის თეორიული და პრაქტიკული

დოქტორანტურის დებულების დანართი N 6
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N 64/19 ოქმით

ღირებულების დასაბუთებას და კვლევის სავარაუდო შედეგებს) წარდგენა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის;

- კვლევითი სემინარის წარდგენა (კვლევის თემატიკისთვის რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, კონცეპტუალური მიდგომებისა და კვლევის განხორციელებისათვის შერჩეული მეთოდების არგუმენტირებული მიმოხილვა) სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის;
- კოლოქვიუმის (დისერტაციის დამუშავებული ნაწილი დოქტორანტის შეხედულებისამებრ) წარდგენა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთვის, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევის სისწორის, სანდოობის და მიღებული შედეგების სიახლისა და მეცნიერული აქტუალობის წარმოჩენა/შეფასებას. თვითშეფასების პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს განვითარებაზე ორიენტირებული მექანიზმების შემუშავებასა და გამოყენებას.